პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 82 (18624) პარასკევი, 8 აპრილი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

თბილისი. 1983 წლის 7 აპრილი. საკავშირო მიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის პრეზიდიუმში. ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კო- საქინფორმის ფოტოქრონიკა.

მუშრომელთა აქტიურობის განვითარება, დისციპლინის განმტკიცება, მუშაობის სტილის სრულყოფა პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა აქტუალური ამოცანებია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. ვ. კაპიტონოვის მოხსენება

პატივცემულო ამხანაგებო!

ჩვენ შევიკრებით ძველ და მარად ახალგაზრდა ქალაქ თბილისში — მოძმე სოციალისტური საქართველოს დედაქალაქში. გამომგზავრების წინ ჩვენი კონფერენციის შესახებ მოვახსენე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვს. დიდი კმაყოფილებით გადმოგცემთ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის გულითად სალამს, მის კეთილ სურვილს, რომ წარმატებით ემუშაოს კონფერენციას.

ჩვენი კონფერენცია მიმდინარეობს ვითარებაში, როცა კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი გულმოდგინედ მუშაობენ სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების რეალიზაციისათვის.

ეს ამოცანები დიდი და რთულია.

მსხვილი პლანით მათი არსი ის არის, რომ სრულვყოთ განვითარებული სოციალიზმი, სულ უფრო სრულად გამოვავლინოთ მისი აღმშენებლობითი შესაძლებლობანი და ჰუმანური არსი. კონკრეტულად ახლა ჩვენი მთავარი საზრუნავია ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი, შევასრულოთ მეთერთმეტე ხუთწლედის დაძაბული დავალებანი.

ვუფლოვდებით რა ხუთწლედის შუაგულს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკის განვითარებაში, სოციალური პროგრამის განხორციელებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ საქმე არც ისე წარმატებით მიდის, როგორც საჭიროა, და უფრო ბეჯითად უნდა ვიშრომოთ, რათა მივაღწიოთ დასახულ მიჯნებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმსა და სსრ კავშირის 60 წლისთვის გამო გამართულ ზეიმზე, მის სტატიაში „კარლ მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის ზოგიერთი საკითხი“ წამოყენებულია პრინციპული დებულებანი ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტის გზაზე. საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა შრომისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ამაღლებას, მათი შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებისათვის პირობების შექმნას. ეს აქტიურობა, ეს ინიციატივა პარტიის გეგმების რეალობის, მისი ძალის ზრდის საკითხი, საბოლოო აზრითაც კი კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელების საწინდარია.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ნათლად ჩანს, რომ საჭიროა ყოველნაირად ავამაღლოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მოწვეული ჩვენი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მიზანი ის არის, რომ გავაანალიზოთ, თუ საქმით როგორ უწყობენ ხელს ცხოვრების შუაგულში მოქმედი პარტიული ორგანიზაციები მასების ცოცხალ შემოქმედებასთან პარტიის პოლიტიკის შეერთებას, მშრომელთა აქტიურობის განვითარებას, სამეურნეო და იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებულ რეალიზაციას. კონფერენცია კარგ შესაძლებლობას გვაძლევს ყოველმხრივ გავიერკვეთ იმაში, თუ რა გზებითა და საშუალებებით უნდა ავამაღლოთ პარტიის ძირეული რგოლების მუშობა თანამედროვე, დიდი და მნიშვნელოვანწილად ახალი ამოცანების დონემდე.

ამ კონფერენციის მოწყობა ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რა ლენინური ყურადღებით ეკიდება სკკპ ცენტრალური კომიტეტი მრავალფეროვან პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელსაც ადგილებზე იძენენ. საჭიროა გავიაზროთ იგი, განვაზოგადოთ ყოველივე საყურადღებო და საყოველთაოდ მნიშვნელოვანი, ერთად მივიფიქროთ, თუ როგორ გამოვიყენოთ უკეთ ეს გამოცდილება ჩვენს პრაქტიკაში.

მინდა აღვნიშნო, რომ ახლა ყურადღება პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი მომძე პარტიებშიც ძლიერდება. ამაზე საფუძვლიანი სჯა-ბაასი იყო ერთი წლის წინათ პრაღაში სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების იმ მდივანთა თათბირზე, რომლებიც ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საკითხებს განაგებენ.

ჩვენი კონფერენციის წარმომადგენლობითი ხასიათი, რომელშიც მონაწილეობენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკები, საზოგადოებათმცოდნე მეცნიერები, დისკუსიის შემოქმედებითი ხასიათის, მისი ნაყოფიერი შედეგების იმედს გვაძლევს.

I.

ამხანაგებო!

აი უკვე 80 წელია, რაც ჩვენი პარტია, რომელიც მთელ თავის საქმიანობას ახმარს მშრომელთა ინტერესებისათვის უანგარო სამსახურს, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლას, მსოფლიოს რევოლუციური განახლების წინა ხაზზე დგას. პარტიამ უდიდესი ისტორიული გზა განვლო, ყველა განსაცდელი, სიძნელე დაძლია და ქვეყანა მიიყვანა დიად გამარჯვებამდე, ამრავლა თავისი ძალები, მოიპოვა უდავო პოლიტიკური და მორალური ავტორიტეტი მასებში. არის რა თავისი ბუნებით მუშათა კლასის პარტია, იგი პირნათლად ასრულებს მთელი საბჭოთა ხალხის ავანგარდის როლს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სოციალისუნარიანობას ბევრად განსაზღვრავს მისი საძირკველის, იმ საფუძვლის სიმტკიცე, სიმდგრადობა, რომელსაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები შეადგენენ.

ჯერ კიდევ კ. მარქსსა და ფ. ენგელსს პროლეტარული პარტიის ძირეული რგოლები მიაჩნდათ მშრომელთა შორის მუშაობის ცენტრად და ბირთვად. (თხზ. ტ. 7, გვ. 262 რუს.). ვ. ი. ლენინი, ქვნდა რა ჩვენს პარტიას, აღნიშნავდა, თუ რაოდენ საჭირო იყო მიგვეღწია იმისათვის, რომ პარტიის ძირითად ორგანიზაციულ უჯრედად საქმით და არა სიტყვიერად გამხდარიყვნენ ქვეძდგომი ორგანიზაციები (თხზ. ტ. 10, გვ. 455). სოციალისტური მშენებლობის პირობებში ვლადიმერ ილიას ძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პარტიის ძირეული რგოლები, „ეწევიან რა საგაბატაციო, საპროპაგანდო, ორგანიზაციულ მუშაობას, მიუდგებიან რა საზოგადოებრივი ცხოვრების უძლებლივ ყველა დარგს, მშრომელი მასის უკლებლივ ყველა ჯგუფსა და ნაწილს, — ასეთი მრავალმხრივი მუშაობით სისტემატურად უნდა ზრდიდნენ თავის თავსაც და პარტიასაც კლასსაც და მასასაც“ (თხზ. ტ. 31, გვ. 223).

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე პირველადი ორგანიზაციები საამქრო ორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების ფართო ქსელით სულ უფრო მზარდ როლს ასრულებენ პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში, ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტაში, მჭიდროდ აკავშირებენ პარტიას მასებთან. ამით ვლინდება საზოგადოებაში ჩვენი პარტიის ავტორიტეტისა და გავლენის ზრდის ობიექტური კანონზომიერება.

პირველადი პარტორგანიზაციების როლის ამაღლება უწინარეს ყოვლისა განპირობებულია ჩვენი **ეკონომიკური განვითარების** თანამედროვე ტენდენციებით — ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების, მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენების მომწიფებული საჭიროებით, მუშაობის თვისებრივი მაჩვენებლების წინა პლანზე წამოწევით.

ძირეულ ორგანიზაციებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ პარტიის დირექტივები ჩვენი საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე კონკრეტულად ისმამდეს ხორცს შრომითი კოლექტივების ყოველდღიური პრაქტიკით. ეს ნიშნავს, რომ ყველგან ზუსტად უზრუნველეყოფდეთ საგეგმო დისციპლინას, თანამიმდევრულად ვიცავდეთ სახელმწიფო ინტერესებს პრიორიტეტს, ვებრძოდეთ კუთხურობის, უწყებრიობის გამოვლინებებს. საჭიროა თითოეულ მშრომელს ვუნერგავდეთ თავისი შრომის შედეგების ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მკაფიო გაგებას.

შემდეგ: თუ ძირეულ რგოლებს არ ვეყრდნობით, დღეს ვერც **სოციალური განვითარების** ამოცანებს გადაწყვეტთ წარმატებთ. თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების წევრთა შრომითი და პოლიტიკური აქტიურობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მათი კეთილდღეობის დონის, ადამიანთა ზოგადი და პროფესიული კულტურის ამაღლებასთან, შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებასთან. ეს ამოცანები, როგორც მოგეხსენებათ, მარტივი არ არის. ბევრი რამ, მაგალითად, დამოკიდებულია განაწილებითი ურთიერთობის, შრომის ოდენობისა და მოზომარების ოდენობისადმი კონტროლის სრულყოფაზე. მხოლოდ პარტიულ ორგანიზაციათა აუცილებელი მონაწილეობით მივაღწევთ, რომ შრომის მატერიალური და მორალური სტიმულირება მჭიდროდ იყოს დაკავშირებული მისი ორგანიზებულობისა და ეფექტიანობის ამაღლებასთან. საჭიროა აგრეთვე უფრო აქტიური ღონისძიებანი, რათა განვდევნოთ ფიზიკურად მძიმე, უინტერესო, რუტინული შრომა, რომლის წილი მრეწველობაში 40 პროცენტს აღწევს, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში კი — უფრო მეტსაც.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია, როგორც შრომითი კოლექტივის პოლიტიკური ბირთვი, აქტიურად უნდა უწყობდეს ხელს მისი ფართო კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციას. იგი პასუხს აგებს პარტიის წინაშე შრომითი კოლექტივის საქმიანობისა და განვითარების ყველა მხარისათვის, მასში ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური კლიმატის შექმნისათვის, საერთო საქმეში მისი წვლილისათვის.

შრომითს კოლექტივებზე ზემოქმედებისათვის პირველადს პარტორგანიზაციებს დიდი შესაძლებლობანი აქვთ. ისინი თავიანთ რიგებში ეერთიანებენ კოლექტივების ყველაზე შეგნებულ ნაწილს, აქტიურ, ავტორიტეტიან და სანდო, ერთიანი მიზნითა და მსოფლმხედველობით, ერთიანი ქმედებით შეკავშირებულ ადამიანებს. სკკპ წესდების შესაბამისად მათ მინიჭებული აქვთ ფართო უფლებამოსილებანი პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში, თავიანთი გავლენით სწვდებიან შრომელი მასის სიღრმეებს.

ახლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში 18 მილიონ 118 ათასი კომუნისტია. პარტიის სოციალურ შემადგენლობაში წამყვანი ადგილი ეკუთვნის მუშებს, რომლებიც 8 მილიონია. მუშები და კოლმეურნეები ყველა კომუნისტის ორ მესამედს შეადგენენ. პარტიის რიგებშია სახალხო მეურნეობის ყოველი მეოთხე-მეხუთე სპეციალისტი, ყოველი მეორე მეცნიერი. ერთი სიტყვით, პარტიული ძალები მომზადებენ მატერიალური წარმოების ყველა უბანზე, ჩვენი საზოგადოების სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში.

ვახასიათებთ რა პარტიის ორგანიზაციულ პოტენციალს, უნდა ვთქვათ, რომ დღეისათვის 426 ათასი პირველადი პარტორგანიზაციაა. მათი მესამედზე მეტი მოქმედებს საწარმოო კოლექტივებში, სადაც თავმოყრილია ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 70 რი კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით შრომითს კოლექტივებში პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკა“, სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივანი ლ. გ. სიზოვი — „ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულებისათვის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა პასუხისმგებლობის გაძლიერება პირველადი პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა“, სვერდლოვსკის საწარმოო გაერთიანება „ურალქიმმანქანის“ პარტკომის მდივანი ვ. ი. სანკოვი — „ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლი და საგეგმო, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცება“, კრასნოდარის მხარის კანევსკის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ პარტკომის მდივანი ი. ა. მურზოვი — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების პარტიულ-პოლიტიკური უზრუნველყოფის გამოცდილება“, უკრაინის კომპარტიის ნიკოპოლის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ი. ოსტაპჩენკო — „შრომითი კოლექტივების აღმზრდელობითი როლის გაძლიერებისათვის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება“, ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. მ. მოროზოვი — „შემოქმედებითს დანესებულებათა და ორგანიზაციათა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა“, ნოვოსიბირსკის ოლქის დასავლეთ ციმბირის რკინიგზის ბოლოტნაიას სადგურის საკვანძო პარტკომის მდივანი ს. პ. გავრილინი — „რკინიგზის ტრანსპორტზე წესრიგისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობა“, ორიოლის ოლქის სკკპ გლაზუნოვკის რაიკომის პირველი მდივანი თ. ნ. კოროვალოვა — „საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში კოლექტიური იჯარის დანერგვისათვის ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერება სოფლის პირველადი პარტიული ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა“, ტაშკენტის ოლქის ბექაბადის რაიონის სკკპ XXV ყრილობის სახელობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი ი. შუქურალიევი — „სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის, მისი დამრაზმველი როლის გაძლიერებისათვის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მუშაობის გამოცდილების შესახებ“, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ე. რისტლაანი — „მაღალი იდეურობის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდა“.

გამოსვლებში აისახა მრავალფეროვანი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც ადგილობრივმა პირველადმა პარტორგანიზაციებმა შეიძინეს. სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების შემდეგ, გაშუქდა მათი არჩევითი პარტიული ორგანოების მრავალმხრივი მუშაობის სხვადასხვა ასპექტი, დაისახა შრომითს კოლექტივებში სამეურნეო და აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებით რეალიზაციის გზები. გამოსვლებს წითელ ზოლად გასდევდა აზრი: რაც უფრო მდიდარი, მრავალფეროვანია ადგილობრივი გამოცდილება, მით უფრო ნაყოფიერია მთლიანად პარტიის საქმიანობა.

კონფერენცია მუშაობას განაგრძობს.

(საქინფორმი).

გვესაუბრებიან საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილენი

მაღალი მომთხოვნელობა

ნ. დ. შაროვი.
ნიჟნი ტაგილის მეტალურგიული კომბინატის პარტკომის მდივანი

დიდი ხანი არ არის, რაც პარტკომის მდივნად ვმუშაობ. ამიტომ სრულიად საკავშირო კონფერენციაში მონაწილეობა საშუალებას მომცემს გავეცნო კოლეგების გამოცდილებას.

საკითხი ბევრია: მაგალითად, როგორ წყვეტენ პარტორგანიზაციები დისციპლინის განმტკიცების, გამცდენთა წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებს?

ამ ბოლო დროს მთელი რიგი ღონისძიებანი განვახორციელეთ ამ მიმართულებით. შრომის კანონმდებლობის ფარგლებში გამკაცრებულია მათზე ზემოქმედება. კერძოდ, წამოყენებულია წინადადება უფრო თამამად დავთხოვოთ გამცდენები და ზარმაცები. უდიდეს საწარმოთა დირექტორების საბჭომ მოიწონა ეს ღონისძიებანი. ახლა ფრენიებს, რომლებიც დათხოვნილი არიან ერთი საწარმოდან, მეორეში სთავაზობენ მხოლოდ ნაკლებკვალიფიციურ სამუშაოს. საკუთარი შრომით მან უნდა დაამტკიცოს უფრო პრესტიჟიანი სამუშაო ადგილის დაკავების უფლება.

საინტერესო იქნება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშაობის გამოცდილების გაცნობა: როგორ ინერგება აქ მოწინავე ტექნოლოგია, აწარმოებენ თუ არა აქ სახალხო მოხმარების საქონელს? ჩვენ ასეთი ნაბიჯი გადავდგეთ: წელს გავხსნით ფერადი მინის, მარმარილოს ნაკეთობებისა და სუფრის ჭურჭლის საწარმოო საამქროებს.

გაისად კომბინატს ექნება თავისი მეცხოველეობის კომპლექსი 3000 ღორისა და 700 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, აგრეთვე 60 ათასი კვადრატული მეტრი სასათბურე მეურნეობა.

პასუხი ვაგოთ კოლექტივის წინაშე

ა. ს. იოჟიკოვი.
სკკპ ვორონეჟის საოლქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე

ვორონეჟის ოლქის პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კადრების, უწინარეს ყოვლისა, ხელმძღვანელი პარტიული, სამეურნეო კადრების შერჩევისა და განაწილების პრობლემას.

ამ მუშაობაში ვიყენებთ საქართველოს პარტორგანიზაციის გამოცდილებას: თითოეულ კანდიდატურას ვიხილავთ შრომთს კოლექტივებში და პარტიულ კომიტეტებში. კადრების შერჩევის ასეთმა მეთოდმა საგსებით გაამართლა დანიშნულება. ამაღლდა პირველადი პარტორგანიზაციების აქტიურობა, აგრეთვე, თვით ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა, პრაქტიკაში დამკვიდრდა ხელმძღვანელთა ანგარიშები იმ კოლექტივების წინაშე, რომლებმაც ისინი დაასახელეს. პარტიულ კრებებზე ვიხილავთ მათ პირად შემოქმედებითს გეგმებს, მშრომელთა წერილებზე მუშაობის მეთოდებს.

რადიოდეტალების ქარხნაში ბრიგადას ხელმძღვანელობს სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ს. ნ. სავინი. იგი წელიწადში ორჯერ ანგარიშს აბარებს თავის პარტიულ ორგანიზაციას. მისი მუშაობის ყველა მეთოდს როდი იწონებენ კომუნისტები. სერგი ნიკოლოზის ძე ყურად იღებს მათ შენიშვნებს, რჩევა-დარიგებებს, თუ როგორ გამოსწოროს ესა თუ ის ნაკლი. ამის შედეგად ბრიგადაში შეიქმნა ნდობის, შემოქმედებითი ატმოსფერო. მრავალი წლის მანძილზე აქ არ არის შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, მომზადებულია ბევრი კარგი, საქმიანი ხელმძღვანელი.

ძმობის საგალობელი

გაზაფხულის აყვავებულ ბაღნარად წარმოუდგათ სრულიად საკავშირო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეებს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი დარბაზი, სადაც 7 აპრილს გაიმართა რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. მთელი კონცერტის ლაიტმოტივი იყო ქართული „მრავალჟამიერი“, როგორც ძმობისა და ერთობის დიდებული საგალობელი. ამ დაუვიწყარი დღესასწაულის ავტორებმა და მონაწილეებმა ქართული ხელოვნება წარმოაჩინეს ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს მოძმე ხალხთა კულტურებთან განუყოფელი კავშირით.

კონცერტის მუსიკალურმა ეპიგრაფმა — საქართველოს სახალხო არტისტის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, რევაზ ლაღიძის სიმფონიურმა სურათმა „საჭიდაომ“, რომელიც საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიურმა ორკესტრმა რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, გივი აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით შეასრულა, შთამბეჭდავად ცხადყო ხალხური შემოქმედებასთან კულტურის ოსტატთა სულიერ-ესთეტიკური კავშირის მრავალფეროვნება.

ლიტერატურულ-მუსიკალ უ რ ი კომპოზიცია „იდიდე, სამშობლოვ!“ წარმოგვიდგება პოლიეკრანით ასახული სურათების ფონზე. ეს ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის ცხოვრება და შრომაა. ჟღერს რევაზ ლაღიძის „გვიზმობს პარტია“ და ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, სოციალისტური შრომის გმირის გიორგი სვირიდოვის მუსიკა „დრო, წინ“! ქართველი დოკუმენტალისტების მიერ ოპერატიულად გადაღებული კინოფილმი ასახავს საბჭოთა კავშირის, მოძმე რესპუბლიკებიდან, მხარეებიდან, ოლქებიდან და ქალაქებიდან ჩამოსულ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეთა გულითად შეხვედრას თბილისში, ამ დღეებში გახსნილი ვ. ი. ლენინის ძეგლის გვირგვინით შემკობის ცერემონიას, ამ დღეების სხვა ღირსშესანიშნავ მოვლენებს.

საზეიმოდ ჟღერს ვლადიმერ მაიაკოვსკის, ქართველი საბჭოთა პოეტების ლექსები, რომლებიც ადიდებენ ჩვენს დიად სახელმწიფოს, ჩვენს გმირ ხალხს. მისთვის მეგობრობა უწინარეს ყოვლისა ეს არის ურთიერთდახმარება, ერთმანეთის მხარში დგომა. სწორედ ასე გვესმის დღეს პოეტ მორის ფოცხიშვილის ფრთიანი სიტყვები:

ძმობა მწამს ზეშთაგონებით,
და თუ უძმოდ ვარ იელი,
მიძმე და მოგეწონები,
ძმა ხომ ძმით არის ძლიერი!

ამ სტრიქონებში თვით ჩვენი ცხოვრების წესის არსია ჩაქსოვილი.

დარბაზი მხურვალედ უკრავს ტაშს შემსრულებლებს — თბილისს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის გუნდსა და სოლისტებს, საქართველოს სახელმწიფო კაპელას, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიოს

(დასასრული მე-8 გვ.)

(გაგრძელება მე-2 გვ.).

მშრომელთა აქტიურობის განვითარება, დისციპლინის განმტკიცება, მუშაობის სტილის სრულყოფა პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა აქტუალური ამოცანებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მაგრძელება)

პროცენტზე მეტი. სწრაფად იზრდება პარტორგანიზაციათა რიცხვი ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში, სხვა ადგილებში, სადაც იქმნება ახალი ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები, ვითვისებთ ნაკლებად დასახლებულ რაიონებს.

წარმოების კონცენტრაციისა და კოოპერაციის განვითარებასთან, გაერთიანებათა შექმნასთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგების ზრდასთან ერთად პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო დიდი და ბრძოლისუნარიანი ხდებიან. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე სამრეწველო საწარმოთა პარტორგანიზაციებში კომუნისტთა საშუალო რიცხვი 65-დან 103-მდე გაიზარდა. შედარებით ცოტა ხნის წინათ მცირერიცხოვანი იყო ბევრი საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის პარტორგანიზაცია. ამჟამად საბჭოთა მეურნეობებში საშუალოდ 68 კომუნისტი და კოლმეურნეობებში — 60 კომუნისტია. ახლა ყოველ მეათე პირველადს ორგანიზაციას მეთაურობს პარტიული კომიტეტი. აქედან ათასზე მეტს პარტიის რაიკომის უფლება აქვს სკკპ რიგებში მიღების, პარტიის წევრთა და კანდიდატთა აღრიცხვის წარმოებისა და კომუნისტთა პერსონალური საქმეების განხილვის საკითხებში.

დიდ პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც, როგორც წესი, მოქმედებენ სოციალისტური ეკონომიკის გადამწყვეტ უბნებზე, შესაბამისად საქმე აქვთ დიდი მასშტაბის მუშაობასთან. დიდ ამოცანებს წყვეტენ შემადგენლობით შედარებით პატარა პირველადი პარტიული ორგანიზაციებიც. ისინი უწინარეს ყოვლისა მოქმედებენ ადამიანთა აღზრდასთან, მათ მომსახურებასთან დაკავშირებულ კოლექტივებში. ეს, უმთავრესად, არის სასწავლებლები, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს საწარმოები. აქ განსაკუთრებით მაღალია თითოეული კომუნისტის როლი და პასუხისმგებლობა. შევნიშნავ, სხვათა შორის, რომ ვხედებით მცირერიცხოვანი ორგანიზაციების შეერთების გზით გამსხვილების დაუსაბუთებელ ცდებს. როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, ამ საკითხებში მოუფიქრებელი გადაწყვეტები ასუსტებს პარტიულ გავლენას კოლექტივებში. თითოეული პირველადი ორგანიზაცია, მისი რიცხოვნობის მიუხედავად, პარტიის მებრძოლი უჯრედი უნდა იყოს.

პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზაციულ-პოლიტიკური შესაძლებლობანი ფართოვდება მათი შინაგანი სტრუქტურის დინამიკური განვითარების გზით. იგი სულ უფრო ვრცელი ხდება, მოიცავს კოლექტივის ყველა ქვეგანყოფილებას. ახლა პირველადს პარტორგანიზაციებში სულ არის მილიონზე მეტი საამქრო პარტორგანიზაცია და პარტიული ჯგუფი. პარტიული სტრუქტურის ყველა რგოლის ზუსტი, მოფიქრებული ურთიერთმოქმედება უზრუნველყოფს კომუნისტთა შეთანხმებულ და ერთიან მოქმედებას.

თითოეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის, მის მიერ კოლექტივის პოლიტიკური ბირთვის ფუნქციის ეფექტიანი შესრულების აუცილებელი პირობაა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის, სკკპ წესდებით დამკვიდრებული პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების თანამიმდევრული დაცვა. სადაც ძლიერი, შეკავშირებული პარტიული ორგანიზაცია მოქმედებს, იქ ყოველთვის წარმატებაა. სწორედ ასეთი პარტიული ორგანიზაციები იძლევიან დღეს ტონს საერთო მუშაობაში კომუნისტური აღმშენებლობისათვის.

II.

ამხანაგებო!

ხელმძღვანელობს რა ლენინის მითითებით იმის შესახებ, რომ „ცოცხალი, შემოქმედებითი სოციალიზმი თვით ხალხის მასების ქმნილებაა“ (თხზ. ტ. 26. გვ. 334), პარტია თავისი საქმიანობის ყურადღების ცენტრში აყენებს წარმოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მშრომელთა აქტიურობის ყოველმხრივ განვითარებას. ყოველ ეტაპზე ამ მუშაობას თავისი მიმართულება აქვს, მის წინაშე დასახული ამოცანების შესაბამისად კონკრეტდება. დღეს შრომითი აქტიურობის ღონძი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მისი შემდგომი ინტენსიფიკაციის მიზნით სოციალისტური ეკონომიკის შინაგანი რეზერვების რაც შეიძლება სრული გამოყენება. პირველადი პარტიული ორგანიზაციებე ამ რეზერვებს, შეიძლება ითქვას, ზიგზიდან ხედავენ. პარტიულ ორგანიზაციათა ვალია ამმოქმედონ ისინი, დარაზმონ ამისათვის შრომითი კოლექტივები, უზრუნველყონ, რომ საწარმოებში სამეურნეო საქმიანობა წარმოებდეს პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის სრული შესაბამისობით.

მთავარი იყო და არის ზრუნვა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულებისათვის. როგორც ცნობილია, ხუთწლედის პირველი ორი წლის დავალებანი მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პოზიციების მიხედვით შეუსრულებელი დარჩა: ამიტომ მომდინარე, შუაგულ წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს უნდა ავანაზღაუროთ გაცდენილი, შევქმნათ ხუთწლედის დარჩენილ ორ წელიწადში ნორმალური მუშაობის პირობები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ახლა ცენტრში და ადგილებზე დიდი მუშაობა გაიშალა. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო ახორციელებენ ეკონომიკური და ორგანიზაციული ხასიათის ფართო წრის ღონისძიებებს, რომლებიც სტიმულს აძლევენ მასების დიდნაყოფიერ შრომას, ინიციატივას, მიზნად ისახავენ „ვიწრო ადგილების“ დაძლევას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სსრ კავშირის სასუფსათა პროგრამის რეალიზაციას, და ამას თავისი შედეგები მოაქვს. როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის პირველი თვეების გეგმები სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვნად უკეთ და შემცირების მიზნით მათი კორექტირების გარეშე სრულდება.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ორგანიზატორული დიდიერ-აღზრდელობითი მუშაობის, გეგმების შესასრულებლად წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად მშრომელთა დარაზმვის კარგი გამოცდილება შეიძინეს. კომუნისტთა თვალთახედვის არეში დღეხიდაგან არის ძირითადი საწარმოო და სოციალური ფაქტორები — რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება, ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, ყოველ სამუშაო ადგილას გამომუშავების ნორმების შესრულება, რესურსების ეკონომია, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების კოლექტიური ფორმები, მისი პირობების გაუმჯობესება და სხვა.

ბევრი პარტიული ორგანიზაცია სწორედ ამ მიმართულებით რომ მუშაობს, აუცილებლად აღწევს წარმატებებს. მათ შორის, მაგალითად, არის მოსკოვის სერგო ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის, ხარკოვის მალიშევის სახელობის ქარხნის, ტაშკენტის „კრასნაია ზარიას“ გაერთიანების, ბერეზნიკის ტიტან-მაგნიუმის კომბინატის, კუზბასის „ნაგორნაიას“ შახტის, კოტლასისა და სოლიკამსკის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატების, „მაგნიტმენის“ ტრესტის, ლიხაჩოვის სახელობის ნავსადგურის, მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ზვენიგოროდსკისა“ და სხვა პარტორგანიზაციები.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია საკმაოდ ღრმად არ სწვდება სამეურნეო საქმიანობას, კვლავინდებურად ცალმხრივად მუშაობს წარმოების საკითხებზე, ძირითად ყურადღებას უთმობს რაოდენობრივ მხარეს, მხედველობიდან უშვებს ეფექტიანობისა და ხარისხის მაჩვენებელს. ეს კი ხშირად იწვევს არაკონკურენტოსუნარიანობას, მის მოწყვეტას საარსებო საქმეებისაგან, რაც საბოლოო ანგარიშით ხშირად სერიოზულად აფერხებს გეგმების შესრულებას, აგრეთვე ძნელ მდგომარეობაში აყენებს მომხმარებელს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებათა მიხედვით მიწოდებებისა და ვალდებულებების გეგმის შესრულება მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს საწარმოო კოლექტივებისა და მათი ხელმძღვანელების საქმიანობის შეფასებაში. მყარი სამეურნეო კავშირისათვის ბრძოლა იწყება სამუშაო ადგილიდან, წარმოების ბრიგადებში, საამქროებში. მისი შედეგები უშუალოდ არის დამოკიდებული თითოეული მუშაკის მიერ მოვალეობათა კეთილსინდისიერ შესრულებაზე. და აქ განსაკუთრებით აქტიური უნდა იყოს პარტიულ ორგანიზაციათა ზემოქმედება, რომლებიც მოწოდებული არიან გააძლიერონ მომთხოვნელობა სახელმწიფო ინტერესების დაცვისათვის.

ადამიანთა საწარმოო აქტიურობის განვითარებისათვის, ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის ფართო ასპარეზს სახავს შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა. ბრიგადებში ახლა გაერთიანებულია მრეწველობის მუშათა ნახევარზე მეტი. იგი კიდევ უფრო ვრცელდება მშენებლობაში, ტრანსპორტზე. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია გაძლიერდეს ორგანიზატორული მუშაობა საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის წარმოებაში კოლექტიური იჯარის დანერგვისათვის.

ამავე დროს ბრიგადული ფორმა ჯერ კიდევ არ გამხდარა ძირითადი ფორმა შრომის ორგანიზაციასა და სტიმულირებაში. არის ბევრი შემთხვევა, როცა ბრიგადები იქმნება ფორმალურად, ზოგიერთი მათგანი კი იშლება, ცალკეული პარტიული ორგანიზაციები განზე უდგანან ამ მნიშვნელოვან საქმეს. უნდა გამოვიჩინოთ პარტიული ზრუნვა, რათა სამეურნეო-ანგარიშიანი ბრიგადა დამკვიდრდეს შრომითი კოლექტივის ცხოვრებაში, საწარმოო მართვის ნამდვილი პირველადი რგოლი გახდეს. საჭიროა, რომ აქ იყოს მეტი კომუნისტი, რომ თითოეული მათგანი ახალი საქმის, ნამდვილი ენთუზიასტი იყოს. უფრო გაბედულად უნდა შევქმნათ ბრიგადებში პარტიული ჯგუფები.

სხვათა შორის, ჩვენს კონფერენციაზე მინდა დავსვა საკითხი იმ კოლექტივებში პარტიული გავლენის უზრუნველყოფის შესახებ, სადაც კომუნისტები არ არიან. როგორც მოგეხსენებათ, ადგილებზე ცდილობენ სხვადასხვაგვარად გადაწყვეტონ ეს საკითხი. სასარგებლო იქნება შეძენილი გამოცდილების გაზიარება.

მასების დარაზმვის მძლავრი ბერკეტია სოციალისტური შეჯიბრება, რომელსაც სკკპ წესდების შესაბამისად კოლექტივებში უნდა მეთაურობდნენ პირველადი პარტორგანიზაციები. შეჯიბრებაში ახლა მონაწილეობს 110 მილიონზე მეტი კაცი, ანუ ყველა მომუშავის 94 პროცენტზე მეტი. ეს საბჭოთა ადამიანების მაღალი შეგნებისა და ინიციატივის მკაფიო მაჩვენებელია. პარტიული ორგანიზაციები სწორად იქცევიან, როცა სოციალისტურ შეჯიბრებას წარმართავენ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ყველა სახეობის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ყოველნაირი მოძჭირნეობისათვის, სხვა მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. კომუნისტები პირად მაგალითს უნდა გვიჩვენებდნენ შეჯიბრებაში, იყვნენ ავანგარდში, დროულად შენიშნავდნენ და მხარს უჭერდნენ დიდნაყოფიერი შრომის ნიმუშებს, ავრცელებდნენ საუკეთესო გამოცდილებას, აჰყავდეთ შეჯიბრების მონაწილეთა ძირითადი მასა მოწინავეთა დონემდე.

მიმდინარე წელს 25 წელი უსრულდება შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის პატრიოტულ მოძრაობას. მასში ახლა მილიონობით ადამიანი მონაწილეობს.

სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ყოველი მეოთხე კაცი კომუნისტური შრომის დამკვრელია. კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება აქვს 8 ათასზე მეტ საწარმოს და ორგანიზაციას. ეს, ცხადია, ადამიანების შრომითი და ზნეობრივი აღზრდის კარგი სკოლაა. და მაინც, ამ მოძრაობის შესაძლებლობებს საკმარისად არ ვიყენებთ. ჯეროვან მომთხოვნელობას არ ვიჩენთ, მაღალი წოდებების მინიჭებისა და დადასტურების დროს, ისეც ხდება ხოლმე, რომ კოლექტივს კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება აქვს, გეგმებს კი ვერ ასრულებს, ურიგდება წუნს, მუშაობს ზარალიანად, და ეს პარტიულ ორგანიზაციას არ აშფოთებს. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ ეს მოძრაობა უფრო ცოცხალი გახდონ, რათა იგი უფრო სრულად შეესაბამებოდეს თავის დანიშნულებას — ასწავლიდეს ადამიანებს იმუშაონ და იცხოვრონ კომუნისტურად.

პარტიის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები მოითხოვს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, თითოეულ საწარმოო უბანზე პარტიული კონტროლის გაძლიერებას. ეს მუშაკთა აღზრდისა და პასუხისმგებლობის ამაღლების ქმედითი საშუალებაა. პარტიული კონტროლის ძალა პრობლემების ღრმა ანალიზი, მთელ ორგანიზატორულ და აღმზრდელობითს საქმიანობასთან კავშირი, მისი ქმედითობა. პარტიულმა ორგანიზაციებმა უკეთ უნდა გამოიყენონ წესდებით მინიჭებული უფლება, კონტროლი გაუწიონ ადმინისტრაციის საქმიანობას მუშაობაში კონკრეტულობისა და გერგილიანობის დამკვიდრების მიზნით. გადაჭრით უნდა ვიბრძოლოთ ცალკეული სამეურნეო ხელმძღვანელების იმ ცდების წინააღმდეგ, რომ გაამართლონ თავიანთი ნაკლოვანებები ეგრეთ წოდებული ობიექტური სიძნელეებით.

XXVI ყრილობის შემდეგ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც ეხება პარტიული ორგანიზაციების საკონტროლო ფუნქციების გაძლიერებას. მიღებულია დადგენილება „პირველადი პარტიული ორგანიზაციების ადმინისტრაციის საქმიანობისა და აპარატის მუშაობისადმი კონტროლის კომისიების შესახებ“, აგრეთვე დებულება კომისიების შესახებ.

კონტროლი პირველადი ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და ორგანიზატორული ფუნქციაა, რომელსაც განსაზღვრავს საზოგადოებაში პარტიის ხელმძღვანელი მდგომარეობა. ცენტრალური კომიტეტი იმედოვნებს, რომ მას უფრო სრულად გამოვიყენებთ წარმოების განვითარების, კადრების პასუხისმგებლობის გაძლიერების, სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზნით.

ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა უმნიშვნელოვანეს ამოცანათა შორის დაგვისახა გადაჭრით გავაძლიეროთ ბრძოლა პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველგვარი დარღვევების წინააღმდეგ, პარტიის მოწოდებას ფართოდ დაუჭირეს მხარი კომუნისტებმა, ყველა საბჭოთა ადამიანმა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა კოლექტივებში გააჩაღეს დიდი ორგანიზატორული და განმარტებითი მუშაობა. მოსკოველთა თაოსნობით ქვეყანაში ფართოდება მოძრაობა იმისათვის, რომ შეგებული დისციპლინა, შრომის ზუსტი ორგანიზაცია და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი ყოველი დღის ნორმა გახდეს. ბევრგან მიღებულია კონკრეტული ვალდებულებანი, რომ უკეთ გამოიყენონ წარმოების რეზერვები, რომლებსაც შეიცავს დისციპლინის განმტკიცება შეამცირონ სმაუშო დროის დანაკარგები.

მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული, საჭიროა გავაძლიეროთ, მიზანმიმართული გავხდოთ ეს მუშაობა, ნიადაგ უზრუნველვყოფდეთ თითოეულ კოლექტივში მაღალი მომთხოვნელობის, ამხანაგური ურთიერთდახმარებისა და პასუხისმგებლობის ატმოსფეროს, „თუ სათანადო დისციპლინა — შრომის, საგეგმო, სახელმწიფო დისციპლინა არ გვექნა, — თქვა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, — სწრაფად ვერ ვივლით წინ... ჩვენ გვჭირდება შეგნებული, მუშური დისციპლინა, ისეთი, რომელიც წარმოებას დააწინაურებს, ჩვენ დისციპლინისათვის ბრძოლა მეტი შინაარსით უნდა შევავსოთ, უშუალოდ საწარმოო დავალების შესრულებას დავუკავშიროთ... მაშინ შესრულდება ის, რაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა დასახა“.

ვერ შეეფიგდებით ომს, რომ მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეების ნაწილი სრული უკუგებით არ მუშაობს, არ უფრთხილდება სახელმწიფო ინტერესებს, აცდენს და აგვიანებს სამუშაოზე, ლოთობს, ხშირად დაუსაბუთებლად გადადის ერთი საწარმოდან მეორეში. უქნარები, გამცდენები და ფრენები პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან საზოგადოების ხარჯზე, ხშირად კეთილსინდისიერი მუშაკების თანაბრად სარგებლობენ საკეთით...

შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების შესახებ მოთხოვნები ახლებურად აყენებენ პარტიის ძირეული რგოლების ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის მრავალ ამოცანას. ყოველ მხრივ უნდა ავამაღლოთ თვით კოლექტივის აღმზრდელობითი როლი, შეექმნათ აქ დისციპლინის დამრღვევების წინააღმდეგ ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი. უფრო აქტიურად ჩავაბათ ამ საქმეში კოლექტივის ნაკადი საშუალებები — მუშათა კრებები, სახალხო კონტროლის ჯგუფები, და საგუშაგოები, ბრიგადირთა საბჭოები, ამხანაგური სასამართლოები, დარღვევების პროფილაქტიკის კომისიები და საბჭოები, ზემოქმედების სხვა ფორმები. ყოველ მშრომელს უნდა ჩავუნერგოთ იმის ღრმა გაგება, რომ დისციპლინა არა მარტო შინაგანი განრიგის წესების მკაცრად დაცვაა, არამედ თავისი მუშაობისადმი შეგნებული, შემოქმედებითი დამოკიდებულება. უნდა აღმოვფხვრათ დისციპლინის განმტკიცებისადმი ცალკეული მუშაკების უსულგულო დამოკიდებულება. ვერ შეეგურიგდებით იმას, რომ ზოგიერთ საწარმოში ამახინჯებენ სამუშაო დროის გამოყენებასთან დაკავშირებით საქმის ნამდვილ ვითარებას, ჩქმალავენ გაცდენებსა და სხვა დარღვევებს. პარტიულმა ორგანიზაციებმა პრინციპული შეფასება უნდა მისცენ ასეთ ფაქტებს, უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადონ არა მარტო დამრღვევებს, არამედ იმათაც, ვინც მათ ხელს აფარებს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მოდის უამრავი წერილი, რომლებშიც მშრომელები აყენებენ დისციპლინისა და წესრიგისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერების საკითხს, გამოთქვამენ ბევრ წინადადებას ამის თაობაზე. მათ ყურადღებით სწავლობენ.

დაწყებულია დიდი მუშაობა და იგი კამპანიად არ უნდა გადაიქცეს. ადამიანებს უნდა განვუმტკიცოთ იმის შეგნება, რომ დისციპლინისა და წესრიგის დასახულ გეზს არ გადავუხვევთ.

ცენტრალური კომიტეტი პარტიულ ორგანიზაციებს მიზნად უსახავს შეუწყნარებლად მოეკიდონ ყოველგვარ ნეგატიურ გამოვლინებას, კანონების დარღვევასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებისაგან გადახრას. ამ მიმართულებით მტკიცე და თანამიმდევრული მუშაობა ხორციელდება საქართველოში, აზერბაიჯანში, ბელორუსიაში, მთელ რიგ სხვა ადგილებში. მაგრამ მთლიანად საქმე ჯერ კიდევ ნელა უმჯობესდება.

ორგანიზებულობის ამაღლების, დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცების მიზანია არა მარტო ის, რომ აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი და დავძლიოთ სიძნელეები, არამედ ისიც, რომ კიდევ უფრო განვმატკიცოთ საფუძვლები, რომლებსაც ეყრდნობა ჩვენი სოციალისტური ცხოვრების წესი.

ჩვენი სინამდვილის დამახასიათებელი თავისებურებაა კოლექტივისა და პიროვნების ინტერესების კიდევ უფრო მჭიდრო შერწყმა. ეს ობიექტური პროცესი გულისხმობს შრომითი კოლექტივების შეკავშირებისათვის, ეს ამხანაგობის, ურთიერთდახმარებისა და მომთხოვნელობის ვითარების შექმნისათვის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომ სრულყოფას. სტაბილურ, ძლიერ კოლექტივებს დიდი საქმეები ხელეწიფებათ.

ინდუსტრიის ისეთი წამყვანი საწარმოების გამოცდილება, როგორიც არის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა, მინსკის სატრაქტორო, ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნები, ურალმაშქანა, უსტიკამენგოგორსკის ტყვია-თუთიის კომბინატი, დამაჯერებლად ადასტურებს იმ უცილობელ ჭეშმარიტებას, რომ წარმოებისათვის ზრუნვა, უწინარეს ყოვლისა, ადამიანისათვის ზრუნვაა. პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში ნიადაგ უნდა იყოს შრომის ორგანიზაცია და დაცვა, მისი ტექნიკური აღჭურვილობა, ადამიანთა პროფესიული და კულტურული ზრდისათვის პირობების შექმნა, საბინაო-საყოფაცხოვრებო და სხვა სოციალური საკითხების გადაწყვეტა. ამ საქმეში აქტიურად უნდა ჩავაბათ სამეურნეო ხელმძღვანელები, ყველა ის სამსახური, რომლებსაც ევალებათ შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების სათანადო პირობები შეუქმნონ ადამიანებს.

სტაბილური სოციალისტური კოლექტივების ჩამოყალიბების ამოცანა განსაკუთრებით აქტუალურია ახალშენებლობებისათვის. ამ მიმართულებით საყურადღებო გამოცდილება შეიძინეს კამის ნავატომობილო ქარხნის, ატომმშენის, ბამისა და მთელი რიგი სხვა საწარმოების პარტიულმა ორგანიზაციებმა. იგი მოწმობს, თუ რაოდენ საჭიროა თავიდანვე, ასე ვთქვათ, პირველი აგურიდანვე ვიზრუნოთ კადრების დამკვიდრებისათვის, კომკავშირის საგზურებით ჩამოსულ ახალგაზრდებთან მუშაობისათვის, თვალყური ვადევნოთ იმას, რომ არ ჩამორჩებოდეს ბინებისა და სოციალური დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მშრომელთა მოთხოვნილებების უფრო სრულ დაკმაყოფილებას. ბოლო დროს განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს საწარმოთა მუშაობის რეკონსტრუქციისათვის. თქვენ იცნობთ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დოკუმენტებს ამის თაობაზე. პარტიული ორგანიზაციები და, უწინარეს ყოველისა, პირველადი ორგანიზაციები სრულად უნდა იყენებდნენ თავიანთ შესაძლებლობებს და გულმოდგინედ მუშაობდნენ, რათა საბჭოთა ადამიანისათვის პარტიის ზრუნვა თანამიმდევრულად ხორციელდებოდეს.

ამხანაგებო!

ჩვენი პარტია მუდმივ ყურადღებას უთმობს სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებას, წარმოებაში მუშაკაცის სამეურნეო უფლებებისა და მოვალეობების გაფართოებას, მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი აქტიურობის განვითარებას. გასაგებია, რომ ეს დიდი საკითხია. მინდა შევეხო მის იმ ასპექტებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება პირველადი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას.

ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება პროფკავშირული ორგანიზაციისადმი პარტიულ ხელმძღვანელობას. უამისოდ პრაქტიკულად არ წყდება არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია კოლექტივის ცხოვრებასთან, ადამიანთა ინტერესებთან და მოთხოვნებთან. და საჭიროა, რომ პროფკავშირები ეფექტიანად იყენებდნენ სოციალურ პროცესებზე, ეკონომიკის განვითარებაზე, მასების აღზრდაზე თავიანთი ზემოქმედების საშუალებათა მთელ არსენალს.

შრომითს კოლექტივებში შეიქმნა მართვაში მშრომელთა ჩაბმის ერთიანი, პრაქტიკით შემოწმებული სისტემა. იგი შეიცავს მუშათა და კოლმეურნეთა კრებებს, მუდმივმოქმედ საწარმოო თათბირებს, ეკონომიკურ ანალიზის ბიუროებს, ნოვატორთა საბჭოებს და ა. შ. პირველადმა პარტორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი, რომ ყველა ეს საზოგადოებრივი ორგანო მოქმედებდეს ეფექტიანად, ხელს უწყობდეს ადამიანთა დარაზმვას პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, ეხმარებოდეს თითოეული საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი უნარის გამოვლენას.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მშრომელთა კრებები, რომლებზეც უშუალო ფორმით ხორციელდება მართვაში მშრომელ ადამიანთა ერთობლივი ჩაბმის იდეა. საკმარისია ითქვას, რომ ყოველწლიურად ამ კრებებზე გამოდის დაახლოებით 80 მილიონი კაცი. საჭიროა, რომ კრებებზე განიხილებოდეს საწარმოს საქმიანობის საპირბორტო საკითხები, გაისმოდეს მუშების მტკიცე ხმა უქნარების, ლოთების, იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს ნაკლები მისცეს წარმოებას და მეტი წაგლეჯოს საზოგადოებას. არანაკლებ დიდმნიშვნელოვანია ისიც, რომ კოლექტიურ აზრს, მშრომელთა შენიშვნებსა და წინადადებებს დაუყოვნებლივ განიხილავდნენ ხელმძღვანელობა და ზემდგომი ორგანოები.

პარტიულ ორგანიზაციას აკისრია პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ადმინისტრაცია პროფკავშირთან ერთად სწორად, ფართო საჯაროობის პირობებში იღებდეს გადაწყვეტილებებს, რომლებიც უშუალოდ ეხება ადამიანთა ინტერესებს. მხედველობაში გვაქვს ნორმებისა და ფასდებების შეცვლა, პრემიების გაცემა, ბინების განაწილება და ა. შ. ამ საქმეში ადმინისტრირება უარყოფით გავლენას ახდენს კოლექტივში მორალურ ატმოსფეროზე. აქ ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონოთ, მოვეთათბიროთ ადამიანებს.

შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის განვითარებაში შეძენილ გამოცდილებაზე რომ ვლაპარაკობთ, არავითარ შემთხვევაში არ ვიიდეალებთ იმას, რაც გაკეთდა. პარტიული ორგანიზაციები კარგად უნდა ხედავდნენ ყოველივეს, რაც აფერხებს მშრომელთა შემოქმედებითს აზრსა და ინიციატივას. როგორ მივაღწიოთ, რომ არ გვაყვდეს პასიური ადამიანები, რომ თითოეული სოციალურად აქტიური იყოს? ეს, ცხადია, იოლი პრობლემა არ არის. მისი გადაწყვეტა მოითხოვს ბევრი ფაქტორის, ადამიანის ცხოვრებისა და მუშაობის კონკრეტული პირობების, მისი ინდივიდუალური თავისებურებების ყოველმხრივ გათვალისწინებას.

ადამიანების აქტიურობის გაზრდას, შრომასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ინიციატივის განვითარებას კიდევ უფრო მეტად უნდა მოვახმაროთ მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა: იგი მიზანს მიაღწევს, როცა მაქსიმალურად დაუახლოვდება ცხოვრებას, მშრომელთა ინტერესებს, როცა გამოირჩევა სიმართლითა და რეალისტურობით, აზრისა და სიტყვის სიახლით. ადამიანთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი განათლების მჭიდროდ დაკავშირება შრომისა და მართვის სფეროში მათ საქმიანობასთან ხელს უწყობს სოციალისტურად აღზრდილი ადამიანის ჩამოყალიბებას, რომლისთვისაც სულ ერთი არ არის არა მარტო საკუთარი შრომითი წარმატებები, კეთილდღეობა, ავტორიტეტი, არამედ თანამოსაქმე ამხანაგების შრომითი კოლექტივის საქმეც, მთელი ქვეყნის ინტერესებიც.

ამხანაგებო!

მშრომელთა საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის განვითარებაში დამმარაზმველი, მამოძრავებელი ძალა უცვლელად კომუნისტები არიან. ეს კანონზომიერიცაა. კომუნისტების ავანგარდულ როლს განსაზღვრავს თვით ჩვენი პარტიის ბუნება, რომელიც მასების ხელმძღვანელი და ორგანიზატორია.

ამ როლს უზრუნველყოფს, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტთა შემადგენლობა, მათი ერთიანობა და ორგანიზებულობა. პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თავისი რიგების შევსებას იმ ადამიანებით, რომლებიც მზად არიან თავდადებით იბრძოლონ კომუნისტური იდეალებისათვის, აქტიურად იმუშაონ ორგანიზაციაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში შემსვლელთა თითქმის 60 პროცენტს შეადგენენ მუშები, ათს — კოლმეურნეები, დაახლოებით 26 პროცენტს — ინტელიგენციის წარმომადგენლები. პარტიის შევსების 80 პროცენტზე მეტი ოცდაათ წლამდე ასაკისაა. დადებითი ხასიათი აქვს პარტიაში ქალების, სხვადასხვა ერისა და ეროვნების მშრომელთა მიღების გზით პარტიის რიგების ზრდის ტენდენციას.

ამას წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა პარტიის რიგების ზრდისა და შემდგომი განმტკიცების საკითხები. მთავარი ის არის, რომ პარტიის განვითარება ხდება სკკპ XXVI ყრილობის დებულებებისა და ცენტრალური კომიტეტის მითითებების შესაბამისად, განვლილ პერიოდში პარტია რაოდენობრივად გაიზარდა და თვისებრივად განმტკიცდა.

ამასთან მთელ რიგ პარტორგანიზაციებში ჯერ კიდევ არის საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში მიღების დროს აჩქარების ელემენტები. ზოგიერთ მთგანში საკმარისად არ იღებენ მუშებს, განსაკუთრებით კადრის მუშებს. ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია მომთხოვნელად არ ეკიდება პარტიაში შემსვლელთა საქმიანი, პოლიტიკური და მორალური თვისებების შესწავლას, სუსტად იყენებს მათი ყოველმხრივი შემოწმებისათვის კანდიდატობის სტაჟს.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ პარტიულ კომიტეტებსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მისცა ლენინური ნორმებისა და პრინციპების საფუძველზე ეწეოდნენ მიზანმიმართულ მუშაობას პარტიაში შერჩევისათვის, კომუნისტების ინიციატივისა და აქტიურობის განვითარებისათვის, მათი ავანგარდული როლის, პასუხისმგებლობისა და დისციპლინის ამაღლებისათვის.

რაც უფრო მაღალი იდეური და ზნეობრივი თვისებები ახასიათებს თითოეულ კომუნისტს, მით უფრო მაღალია პარტიის, თითოეული მისი ორგანიზაციის ავტორიტეტი და გავლენა. ეს პარტორგანიზაციებს ავალებს ნიადაგ ეწეოდნენ გულმოდგინე აღმზრდელობითს მუშაობას სკკპ წევრებთან და წევრობის კანდიდატებთან. მეცნიერული მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, მასებში პოლიტიკური მუშაობის ჩვეულების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს პარტიული სწავლების სისტემა, რომელიც 16 მილიონზე მ

მშრომელთა აქტიურობის განვითარება, დისციპლინის განმტკიცება, მუშაობის სტილის სრულყოფა პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა აქტუალური ამოცანებია

(დასასრული)

ნედ უნდა ვიმუშაოთ ადამიანებთან, ვეძებოთ და აღვზარდოთ უნარიანი, ნიჭიერი ორგანიზატორები კომუნისტებისა და უპარტიოების რიგებიდან.

ვ. ი. ლენინს, როგორც ცნობილია უმთავრეს ამოცანად მიაჩნდა „ორგანიზაციული მუშაობის პრაქტიკულობა და საქმიანობა". პარტია იღვწის, რომ ამ მოთხოვნებს ყოველთვის შეესაბამებოდეს პირველადი ორგანიზაციების საქმიანობა, ლენინური სტილი, რომელიც თანამიმდევრულად მკვიდრდება მუშაობაში, უზრუნველყოფს პარტიული ორგანიზაციების საიმედო კავშირს მასებთან, ხელს უწყობს აამაღლონ მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობა, განავითარონ მათი ინიციატივა და თვითმოქმედება.

IV.

ამხანაგებო!

პირველადი პარტიული ორგანიზაციების წარმატებულ მუშაობას ბევრად განსაზღვრავს ზემდგომი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობა. ამასთან კავშირი აქ ორმხრივია. იგი პარტორგანიზაციებს ეხმარება მუშაობა წარმართონ საერთო პოლიტიკის კალაპოტით, ააგონ იგი იმ ამოცანების გაგებით, რომლებიც წყდება ცენტრში და ადგილებზე. თავის მხრივ ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობა მდიდრდება პარტიული მასების გამოცდილებით და წარმოუდგენელია პირველადს ორგანიზაციებზე მტკიცე დაყრდნობის გარეშე.

ამასთან დაკავშირებით მინდა გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის ხასიათის შესახებ: მასში ორგანულადაა შეხამებული დემოკრატია და ცენტრალიზმი. პარტიული მასების ინიციატივა და შემოქმედება და შესრულების ზუსტი ორგანიზაცია და მკაცრი კონტროლი. ამ ხელმძღვანელობას საერთო არა აქვს რა ბრძანებლობასთან, წვრილმანებში ჩარევასთან.

პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან კავშირის განხორციელებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პარტიის ცენტრალური კომიტეტი. იგი წყვეტს მათი ორგანიზაციული აგებულებისა და საქმიანობის პრინციპულ საკითხებს. ნიადაგ აცნობს ძირეულ რგოლებს თავის მუშაობას, უყურადღებით სწავლობს და ითვალისწინებს კომუნისტთა აზრსა და წინადადებებს. ანგარიშგება-არჩევნების, სხვა საერთო პარტიული და პოლიტიკური კამპანიების შედეგების მიხედვით ვიღებთ სპეციალურ დადგენილებებს, დავალებებს ვაძლევთ სამინისტროებსა და უწყებებს ადგილებიდან მიღებული წინადადებებისა და შენიშვნების შესასრულებლად.

მოწონებით აღიქვამენ პარტორგანიზაციებში, შრომითს კოლექტივებში იმას, რომ ცენტრალური კომიტეტი ეთათბირება მათ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების წინ.

პარტიასა და ქვეყანაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის შეხვედრამ მოსკოველ ჩარხშენებლებთან, რომლის დროსაც განხილულ იქნა ჩვენი სინამდვილის, ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში შრომითი კოლექტივების აქტიურობის ამაღლების საჭირბოროტო საკითხები. ეს შეხვედრა მასებთან კავშირის ყურადღები მაგალითია.

ცენტრალური კომიტეტი დღეგიდაგ განაზოგადებს პირველადი ორგანიზაციების გამოცდილებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტ ნოემბრის პლენუმის შემდეგ მისი გადაწყვეტილებების მიხედვით ყოველმხრივ იქნა განხილული კუსტანაის ოლქის ფეოდოროვკის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის", საწარმოო გაერთიანება „დნეპრსალტის", ბელორუსიის იანკა კუპალას სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა. ამ ანგარიშების შესახებ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულმა დადგენილებებმა საერთო პარტიული ეღვიძარდობა პოვა, მიმართულება მისცა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურული სფეროს ძირეული პარტიული რგოლების მუშაობას.

მაგალითისათვის ავიღოთ დოკუმენტი კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის" შესახებ. მისი მიზანია გაძლიეროს პარტიულ-პოლიტიკური გავლენა სასურსათო პროგრამის შესრულების მიმდინარეობაზე, გეზს აძლევს სოფლის ყველა საწარმოო პარტორგანიზაციის საქმიანობას აგროსამრეწველო გაერთიანებათა პიროვნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეზერვების გამოსაყენებლად. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათშორისო საწარმოების პარტიულ ორგანიზაციებში, რომელთა რიცხვი 50 ათასს აღემატება, ცენტრალური კომიტეტის დადგენილება განიხილეს პარტიულ კრებებზე, სპეციალისტთა თათბირებზე. რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში მოეწყო სოფლის პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების თათბირ-სემინარები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დავალების შესაბამისად კონკრეტულ მუშაობას ეწევიან პარტიული სამეცნიერო დაწესებულებანი და სასწავლებლები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

ამ მაგალითს დაწვრილებით შევეხე, რათა ხაზგასმით აღმენშნა, რომ ანგარიშების მოსმენა მუშაობის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საშუალებაა. პირველადი ორგანიზაციების ანგარიშის მომზადება და მისი განხილვა ზემდგომ პარტიულ ორგანოში ეხმარება მათ პოლიტიკური დირექტივები პრაქტიკულ საქმეთა სიბრტყეზე გადაიტანონ.

პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან მუშაობას სრულყოფენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტები. ამ ბოლო დროს ბელორუსიის განმა ეს საკითხები განიხილა პლენუმებსა და ბიუროებზე. დიდ სარგებლობას გვაძლევს პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების საოლქო და რესპუბლიკური თათბირები. ყოველივე ამის შესახებ აღბათ, ამხანაგები ილაპარაკებენ ჩვენს კონფერენციაზე.

უთუო ინტერესს წარმოადგენს საქართველოში შეძენილი გამოცდილება. რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ერთი წლის წინათ შეიმუშავა და ახორციელებს ძირეული პარტიული რგოლების მებრძოლურობის ამაღლების ღონისძიებათა 1985 წლამდე პერიოდის კომპლექსურ გეგმას. დიდი ყურადღება ეთმობა აქ დადებითი გამოცდილების პროპაგანდას, მის საფუძველზე პარტორგანიზაციათა მდივნების სწავლებას. ამისათვის გამოყენებულია პარტიული და საბჭოთა მშენებლობის მეთოდიკური კაბინეტი. მომზადებული და ნაჩვენებია ტელეგადაცემათა ციკლი პირველადი პარტორგანიზაციის ავტორიტეტის შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ძალიან კარგ და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს.

ამავე დროს ცალკეული პარტიული კომიტეტები ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდებიან პირველადს ორგანიზაციებს, ღრმად არ წვდებიან მათს მუშაობას, წლების მანძილზე განსახილველად არ გამოაქვთ ძირეული რგოლების ანგარიშები. ასეთი დამოკიდებულება საქმისადმი სარგებლობას არ აძლევს პირველადს ორგანიზაციებს და აღარიბებს თვით პარტიული კომიტეტების მუშაობას.

პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობაში უპირველესი როლი განეკუთვნებათ პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, რომლებიც ყველაზე ახლოს დგანან მათთან. ჩვენ გვაქვს 4246 რაიკომი და საქალაქო კომიტეტი რაიონული დაყოფის გარეშე. უკანასკნელი თორმეტი წლის მანძილზე კვლავ შეიქმნა ამ დონის 400-მდე პარტიული კომიტეტი, უმთავრესად ცმბირის, ყაზახეთის, შუა აზიის რაიონებში. მტკიცდება, კვალიფიციური ძალები ემატება საქალაქო და რაიონული კომიტეტების აპარატს. შარშან სასოფლო რაიკომებში შეიქმნა სოფლის მეურნეობის განყოფილებანი.

პარტიული კომიტეტები ვალდებული არიან ღრმად წვდებოდნენ თითოეულ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას, კარგად ხედავდნენ ვითარებას შრომითს კოლექტივებში, იცნობდნენ კადრებს, ეხმარებოდნენ მათ მუშაობის უკეთ წარმართვაში, განაზოგადებდნენ და ავრცელებდნენ მოწინავე გამოცდილებას. სწორად იქცევიან პარტიის ის რაიონული და საქალაქო კომიტეტები, რომლებიც, როცა რომელიმე სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანას წყვეტენ, უწინარეს ყოვლისა მიმართავენ ძირეულ რგოლებს, მათი მეშვეობით რაზმავენ მშრომელებს, აკონტროლებენ კადრების მუშაობას, ობიექტურად აწვდიან ინფორმაციას კომუნისტებს.

მტკიცე, საქმიანი კავშირი პირველადს ორგანიზაციებთან ნორმა უნდა იყოს თითოეული პარტიული კომიტეტისათვის. ამავე დროს ზოგიერთი პარტიული მუშაკი ნაკლებად დადის ორგანიზაციებში, ხოლო მისვლისას ვერ პოულობს საშუალებას ესაუბროს კომუნისტებს, გაეცნოს საქმეებს, როგორც იტყვიან, საერთოდ და მთლიანად, ცალკეული ამხანაგები ზოგჯერ კარგავენ მშრომელებთან ურთიერთობის ჩვევას, იბნევიან, როცა ხვდებიან ხალხს, როცა მათ აძლევენ კითხვებს. კადრებს, აქტივს უნდა გამოვუმუშაოთ მასებთან მუშაობის უნარი.

ცალკე უნდა შევეხოთ პარტიული კომიტეტების ინსტრუქტორებს. მათ სამართლიანად უწოდებენ ცენტრალურ ფიგურას პარტიულ აპარატში. მათი შემადგენლობა უმჯობესდება. ახლა რაიონული და საქალაქო კომიტეტების ინსტრუქტორთა თითქმის 86 პროცენტს აქვს უმაღლესი, უპირატესად, საინჟინრო-ტექნიკური ან სასოფლო-სამეურნეო განათლება. მაგრამ შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ, რომ რაიკომების ინსტრუქტორთა შორის ბევრია ახალგაზრდა, რომლებმაც ახლახან დაიწყეს მუშაობა პარტიულ აპარატში. უნდა ვიფიქროთ მათი სწავლების გაუმჯობესებაზე, მეტი დახმარება გავუწიოთ პარტიული მუშაობის ჩვევების დაუფლებაში.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის დონე, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია მათს მდივნებზე. ამ სამუშაოზე ირჩევენ პარტიის ყველაზე ავტორიტეტიან და გავლენიან წევრებს. მდივნების 60 პროცენტზე მეტს აქვს უმაღლესი განათლება. მათ შორის მომრავლდნენ მუშები, კოლმეურნეები, სპეციალისტები. და ეს ძალიან კარგია. უმთავრესად ესენი არიან ნამდვილი მოღვაწენი, თავდადებული ადამიანები, პარტიის საქმის უსაზღვროდ ერთგულნი, უნარიანი ორგანიზატორები, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ პარტიული კოლექტივების ერთსულოვანი მუშაობა.

უკვე ათი წელია ომსკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კირსანოვსკის" პარტორგანიზაციას სათავეში უდგას ნინო პავლეს ასული ნოვიჩკოვა. იგი აქ დაიბადა, მუშაობდა მასწავლებლად, სკოლის დირექტორად. ეს არის ღრმად პარტიული, პრინციპული ადამიანი, რომელსაც უნარი შეესწევს გაუძღვეს ადამიანებს. თუ რაიმე საქმეს წამოიწყებს, ბოლომდე მიჰყავს იგი. იგი გამოირჩევა გულთბილობით, ბოლოფაებით იცნობოროს თანასოფლელთა საზრუნავით, და ადამიანები ეტანებიან მას, მიმართავენ მდივანს სიხარულის ცამსაც და მაშინაც, როცა უჭირთ. ნინო პავლეს ასულის ხელმძღვანელობით საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია მოღონიერდა, მის რიგებს შეემატა 75 კაცი, მათ შორის 41 მეცხოველე, აქედან 17 მწველავი. აქ ყველა უსაზრო ინარჩენობა ქმედითი პარტიული გავლენა. და კანონზომიერია, რომ ეს მეურნეობა წარმატებით ვითარდება.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ბევრი წერილი მოდის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისაგან, რომლებშიც ისინი გვიზიარებენ ფიქრებს კოლექტივში პარტორგანიზაციის მდივნის როლისა და ადგილის შესახებ. ამხანაგები გვწერენ, რომ საჭიროა უკეთ დავუჭიროთ მხარი მდივნებს, გავუფრთხილდეთ მათს ავტორიტეტს, არა მარტო მოვკითხოთ, არამედ წავახალისოთ კიდეც კარგი მუშაობისათვის. ეს ყველა თვალსაზრისით სწორი აზრია.

ხშირად დგება საკითხი პარტორგანიზაციის მდივნისა და სამეურნეო ხელმძღვანელის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ცხადია, რომ ეს ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს პრინციპულ პარტიულ საფუძველს. ეს ასეც არის მეტ წილ შემთხვევებში. როცა საჭიროა, მდივნები უსწორებენ ადმინისტრატორებს, არ ღალატობენ სინდისს იქ, სადაც საქმე ეხება ნაკლოვანებების და მით უმეტეს ბოროტმოქმედების აღმოფხვრას. ამავე დროს გვაქვს სხვაგვარი ფაქტებიც, როცა მდივნები ფარხმალს ყრიან სიძნელეების წინაშე. სწორედ აქ განსაკუთრებით საჭიროა პარტიის რაიონული ან საქალაქო კომიტეტის სწორი და თანამიმდევრული პოზიცია.

პარტორგანიზაციების მდივნებს ქმედითად ეხმარება სისტემატური სწავლება. დადებითი შედეგები მოგვცა მუდმივმოქმედმა კურსებმა, რომლებიც შექმნილია უმაღლეს პარტიულ სკოლებში, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან, სამხარეო და საოლქო კომიტეტებთან. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე აქ მომზადება გაიარა 14 ათასზე მეტმა გათავისუფლებულმა და 65 ათასმა გაუთავისუფლებელმა მდივანმა. ყველგან საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან მოქმედებს პარტიული აქტივის სკოლები, სემინარები, ერთი სიტყვით, აქ ბევრი რამ კეთდება, ამასთან, უნდა განვაგრძოთ სწავლების ორგანიზაციული ფორმის სრულყოფა, გავაღრმაოთ მისი შინაარსი.

გაუმჯობესებას საჭიროებს პარტიული აქტივის სხვა კატეგორიების მომზადებაც, როგორიც არიან საამქრო პარტორგანიზაციების მდივნები, პარტჯგუფორგები, პირველადი ორგანიზაციების პარტკომებისა და ბიუროების წევრები. ასეთი პრაქტიკა გვაქვს, იგი ყველგან უნდა დავნერგოთ.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა მრავალფეროვანი და მდიდარია. მათ ნიადაგ და ღრმად უნდა სწავლობდნენ, ყურადღებას არ აკლებდნენ ჩვენი საზოგადოებრივი მეცნიერებათა დაწესებულებები, გამომცემლობები, მასობრივი პროპაგანდის ორგანოები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია, გაზეთი „პრავდა", ჟურნალები „კომუნისტი", „პარტიინაია ჟიზნი", პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობა და სხვები. იმავალა მეცნიერულმა შრომებმა, დისერტაციებმა პარტიული მშენებლობის საკითხებზე, სასარგებლო პუბლიკაციებმა გამოცდილების შესახებ, საინტერესო გამოსვლებმა პარტორგანიზაციების ცხოვრების, კომუნისტების თაობაზე. მაგრამ კიდევ გვაქვს დიდი და მცირე პრობლემები, რომლებიც ელიან მეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას, პარტიულ პუბლიცისტთა მებრძოლ კალამს. საჭიროა კარგი ლიტერატურა პარტორგანიზაციათა მდივნების, პარტჯგუფორგების, ახალგაზრდა კომუნისტებისათვის. მთავარია მივაღწიოთ, რომ კვლევითი და საგამომცემლო მუშაობა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ცხოვრებასთან, ეხმარებოდეს ჩვენს კადრებს, აქტივს იმოქმედონ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

ამხანაგებო!

ერთ მოხსენებაში პირველადი პარტიული ორგანიზაციების მთელი მრავალმხრივი საქმიანობის გაშუქება, ბუნებრივია, შეუძლებელია. აზრებისა და გამოცდილების ფართო გაზიარებას განვაგრძობთ კონფერენციის პლენარულ სხდომებზე და სექციებში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა გაიმართოს საფუძვლიანი და საქმიანი სკკპ-ბაასი.

მთავარია, რომ კონფერენციის შედეგები პრაქტიკული წვლილი გახდეს პირველადი პარტორგანიზაციების იმ მუშაობის გაუმჯობესებაში, რომლის მიზანია პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის სიტყვაში დასახული ამოცანების შესრულება.

ამით, ამხანაგებო, ნება მიბოძეთ დავამთავრო გამოსვლა და გულითადი მადლობა მოგახსენოთ ყურადღებისათვის.

გვესაუბრებიან საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილენი

დავნერგოთ პრაქტიკაში ყოველივე პროგრესული

გ. გ. ჟურავლიოვი,
სკკპ მოსკოვის ოლქის კოლომნის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

კოლომნა მოსკოვის ოლქის დიდი ინდუსტრიულ-აგრარული რეგიონია. მას აქვს დიდად განვითარებული მძიმე მანქანათმშენებლობა და სასოფლო-სამეურნეო წარმოება. მთლიანი სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა წელიწადში 500 მილიონ მანეთს აღემატება. კოლომნის საწარმოები სანალხო მეურნეობას აწვდიან სამაგისტრალო თბომავლებს, მძლავრ დიზელებს, უნიკალურ ჩარხებს.

ამიტომ ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია ნიადაგ წარმართავდეთ კომუნისტთა მეცადინეობას მეურნეობრიობის იმ საკვანძო პრობლემების გადასაჭრელად, როგორიცაა მეცნიერულ-ტ ე ქ ნ ი კ ი ს ა ს ა ბ ა ს ა ბ ა ბ ა ბ

23-24 აპრილი — ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის დღე

ეს ჩვენ, ცოცხლებს გვჭირდება

ლაქებშიც ერთად აღნიშნავენ ნათესავებისა და ახლობლების, აგრეთვე გაფჩენილი ომანამემამულეების ხსოვნას, შესაძლებელი გახდება ერთად მოვუაროთ თითოეულისათვის წმიდათაწმიდა ამ ადგილებს.

სწორედ ამიტომ აფხაზეთის ყველა მშრომელს მოეწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის დღის დაწესების თაობაზე. სასიხარულოა, რომ იგი მიზნად ისახავს იმ კეთილშობილური ტრადიციების სათუთად მოვლასა და განვითარებას, რომლებიც წარსულმა მემკვიდრეობით დაუტოვა მრავალეროვანი ავტონომიური ოლქის მშრომელებს. გამაჩანაგებელი, ხალხმრავალი ქეიფებით, მდიდრული საფლავებით კი არა, მიზნის შესაბამისი

წესს-ჩვეულებით აღვნიშნავთ ხოლმე ამიერიდან ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის დღეს.

ო. ავიძბა,
შრომის ვეტერანი, სოფელ ქვემო ეშერას მეცხრეტესობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი.

ყველას გულისთქმას გამოხატავს

ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის დღის შემოღება ჩვენმა დღევანდელმა ცხოვრებამ გაანაპირობა. დიახაც რომ, უნდა გვახსოვდეს ერთი უბრალო ჭეშმარიტება, თუ არ მოვუარეთ და ვუპატრონეთ გუშინდელს, არც ჩვენ და ჩვენეული საქმე იქნება მერე შთამომავლობისათვის ხელით საგოგმანები.

როცა თბილისელი ბიუი გია აბრამია ცნობილი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის მშობლიურ სოფელ წერაქვში მიდის და მასწავლებლობს, ამით იგი წინაპრის ხსოვნას სცემს პატივს და, ამავე დროს, თავის ნათელ კვალსაც აჩნევს ცხოვრებას.

როცა მარნეულელი ახალგაზრდები ყოფილი რეგოლუციონერის ნარიმან ნარიმანოვის ძეგლის დადგმაზე მუშაობდნენ, ამასაც წინაპრის ნათელი ხსოვნის უკეთდასაყოფად სჩადიოდნენ.

„ხსოვნის დღის“ დაკანონება ადამიანების ბუნებრივ სწრაფვას წინაპართა პატივისცემისა და მათი საფლავების მოვლისადმი უფრო გეგმაზომიერს და შინაარსიანს გახდის. საზოგადოება შემზადებულია საამისოდ და ჩვენც მადლობის მეტი არა გვეთქმის რა ამ დღის ტრადიციად დაკანონების გამო.

მარნეულელებს ამ დღეს სათქმელი და საქმენიც ბევრი რამ გვექნება.

ზ. იმანოვა,
მარნეულის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

სწორედ დროულად დანერგდა

კიდევ ერთ საშვილიშვილო საქმეს ჩაეყარა საფუძველი. ამიერიდან ყოველწლიურად აპრილის მესამე კვირის შაბათ-კვირას მოეწყობა ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის ერთიანი დღე. ეს საგანგებო დადგენილებით გადამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის დღის შემოღება ჩვენ, უდაბნოელებს, ძალიან მოგვეწონა. მართალია, სოფელი სულ ორი წლისაა და ამა ჯერ რომელი სასაფლაო გვაქვს მოსავლელი, მაგრამ განა დიდ წინაპართა სავანე — გარეჯის სამონასტრო კომპლექსი დიდ და განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას არ საჭიროებს? განა ასე იყო ეს მონასტრები და მოვიმეები გამომზეურებული ამ რამდენიმე წლის წინათ? ყველაფერი ახლახან გაკეთდა მშრომელი ადამიანების ხელით: ბაზა, სინათლე, მონასტერთან მოსასვლელი; გასუფთავდა კედლები, გამოჩნდა ქვაში ნაკვეთი ორნამენტები.

დარწმუნებული ვარ, რომ „ხსოვნის დღე“ სწორედ ჩვენი სოფლის ცხოვრებას მოერგო. შაბათს გაიმართება უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებისა და იმ მშენებლების შეხვედრა, რომლებიც სოფლის ლამაზ საცხოვრებელ სახლს აგებენ. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს გადავცემთ პრიზებს, ფასიან საჩუქრებს.

მეორე დღეს, კვირას, ყველანი ერთად ვუპატრონებთ ჩვენი ერის ძვირფას საგანძურს, გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაგებობებს. მაისის შუა რიცხვებში იმართება ტრადიციული სახალხო დღესასწაული „გარეჯობა“ და „ხსოვნის დღის“ შემოღებით მას ყოველთვის მომზადებული შევხვდებით.

ვ. ხარაშვილი,
უდაბნოს მეცხვარეობის სახბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ჭადრაკის დაფებთან

ესპანეთის ქალაქ ალიკანტეში გაიმართა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ზოლტან რობლისა (უნგრეთი) და ეუგენი ტორეს (ფილიპინები) მეოთხედფინალური მატჩის მეორე პარტია. ისევე როგორც წინა შეხვედრა, მეორეც სწრაფი ყაიმით (მე-19 სვლაზე) დამთავრდა. ჯერჯერობით ანგარიშია 1:1, ასეთივე მატჩის მეორე პარტია ნანა ალექსანდრიამ 26-ე სვლაზე მოუგო ტ. ლუმაჩკოს და ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

ავსტრიის ქალაქ ფელდენში გრძელდება მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ვასილ სმისლოვისა და რობერტ ჰიუბნერის (გერ) მეოთხედფინალური მატჩი. მათი მეშვიდე პარტია, რომელიც გადადებული იყო, მოჭადრაკეებმა მეორე დღეს 62-ე სვლაზე ყაიმით დაასრულეს. ახლა ანგარიშია 4:3 სმისლოვის სასარგებლოდ.

უკანასკნელ საათს

გუშინ ფელდენში მსოფლიო პირველობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა ნანა იოსელიანმა მეცხრე პარტია გამართა ჩინელ ლიუ შილანთან, გაიმარჯვა და მეოთხედფინალური მატჩი მოიგო ანგარიშით 6:3. ამრიგად, იოსელიანი ნახევარფინალში გავიდა.

მოსკოვში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის სამი ტურის შემდეგ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. გელერმა მოუგო ტალს, ფსახისმა — ლერნერს, იუსუპოვმა — მალანიუკს, ლერნერმა — ტალს, აგზამოვმა — მალანიუკს, რომანიშინმა — პეტროსიანს. პეტროსიანი დაუზავდა ფსახისს, ლერნერი — აზმაიფარაშვილს, კარპოვი — პოლუგაევსკის. სამი ტურის შემდეგ 2,5 ქულით ლიდერობს ფსახისი. მოდევნო ადგილებზე არიან ბელიავსკი და კარპოვი — 2-2 ქულა, აგზამოვი და ტუმკაკოვი — 1,5-1,5 (თითო გადადებული პარტია), გელერი და რომანიშინი — 1,5-1,5 (ორ-ორი პარტიიდან), ბალაშოვი, ლერნერი და პოლუგაევსკი — 1,5-1,5, აზმაიფარაშვილი, ვაჰანიანი, მალანიუკი, პეტროსიანი და იუსუპოვი — თითო ქულა, რაზუვაევი და ტალი — 0,5-0,5 ქულა.

ფეხბურთის ამბები

გუშინ ცსკასა და „არარატის“ მატჩით დაიწყო უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტური. ეს შეხვედრა დამთავრდა „არარატის“ გამარჯვებით — 2:1.

დღეს გაიმართება ამ ტურის დანარჩენი მატჩები. თბილისის „დინამო“ მინსკში ხვდება ადგილობრივ „დინამოს“, ხოლო ქუთაისის ტორპედოელები მოსკოვში თავიანთ თანაკლუბელებთან ითამაშებენ. „ცალგირისი“ მასპინძლობს „ნეფთჩის“, „შახტიორი“ — „ზენიტს“, „დნეპრი“ — „ფახთაქორს“, „ნისტრუ“ — მოსკოვის „დინამოს“, „ჩერნომორეცი“ — „სპარტაკს“.

სტატისტიკის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ საკავშირო ჩემპიონატების განმავლობაში თბილისის დინამოელები მინსკელ თანაკლუბელებს 55-ჯერ შეხვდნენ. აქედან მოიგეს 29 მატჩი, 14 შეხვედრა ფრედ დაამთავრეს და 12 წააგეს. ბურთების სხვაობაა 102-54. ქუთაისის ტორპედოელებს მოსკოველ თანაკლუბელებთან სულ ნათამაშები აქვთ 20 მატჩი. აქედან ქუთაისელებმა მოიგეს 6 შეხვედრა, 8 ფრედ დამთავრეს და 6 წააგეს. ბურთების სხვაობაა 30-35.

ბაიმართა ევროპის საფეხბურთო ტურნირების პირველი ნახევარფინალური მატჩები. გთავაზობთ შედეგებს:

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. „იუვენტუსი“ (იტალია)-„ვიძეგი“ (პოლონეთი) — 2:0, „რეალი“ (ესპანეთი, სან-სებასტიანი) — „ჰამბურგი“ (გერ) — 1:1.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი. „ობერდინი“ (შოტლანდია)-„ვატერსხეი“ (ბელგია) — 5:1, „აუსტრია“ (ავსტრია)-„რეალი“ (ესპანეთი, მადრიდი) — 2:2.

უეფას თასი. „ბოჰემიანსი“ (ჩეხოსლოვაკია)-„ანდერლეჰტი“ (ბელგია) — 0:1, „ბენფიკა“ (პორტუგალია)-„უნივერსიტატია“ (რუმინეთი) — 0:0.

ამ გუნდების განმეორებითი ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება 20 აპრილს.

მოკლედ

ფიგურული ციგურაობა. კრასნოიარსკში მიმდინარე სსრ კავშირის თასის გათამაშების სტარტზე ვაჟებმა სავალდებულო პროგრამით იასპარეზეს. შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ ლიდერობენ ლენინგრადელი ლეონიდ კაზნაკოვი, მოსკოველი გურგენ ვარდანიანი და თბილისელი ბადრი ყურაშვილი.

კალეიდოსკოპი

ბურთი გაიტანა... მსაჯმა

იუვენტუსი შემთხვევა მოხდა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ რიხნოვში ჭაბუკ ფეხბურთელთა მატჩზე. როცა ერთ-ერთმა თავდამსხმელმა კუთხურიდან დაარტყა ბურთი, იგი მსაჯს თავში მოხვდა, კარის მიმართულებით ასხლტა და ბადეში გაეხვია. ეს გოლი მსაჯმა ჩათვალა.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

---

7 აპრილი

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები საკლესიო იუწყება

ურთიერთგაგების ვითარებაში

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის სხდომა

პრაღა. აქ გაიხსნა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის სხდომა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პ. მლადენოვი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ო. ფიშერი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ოლშოვსკი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შ. ანდრეი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ფ. პუია, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ხნოუპეკი.

სხდომის მონაწილეებს გულითადად მიესალმა ბ. ხნოუპეკი.

სხდომაზე განიხილეს იმ წინადადებებისა და ინიციატივების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც წამოაყენა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პრაღის თათბირმა ბირთვული ომის თავიდან აცილების, დაძაბულობის შენელების პროცესის განგრძობისა და განმტკიცების, ევროპის კონტინენტზე და მთელ მსოფლიოში განიარაღების, უშიშროების განმტკიცებისა და თანამშრომლობის განვითარების პრობლემების გადაჭრის მიზნით.

სხდომაში, რომელიც მიმდინარეობს შეგობრობის, ურთიერთგაგებისა და ამხანაგური თანამშრომლობის ვითარებაში, მონაწილეობენ აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები, მრჩევლები და ექსპერტები.

• • •

იმავე დღეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ სადილი გაუმართა კომიტეტის სხდომის მონაწილე საგარეო საქმეთა მინისტრებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

ოფიციალური დოკუმენტის სახით

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ოფიციალური დოკუმენტის სახით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გავრცელდა „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე ი. ვ. ანდროპოვის პასუხი, რომელიც 1983 წლის 27 მარტს გამოქვეყნდა.

ნიკარაგუის მთავრობის წინადადება

ნიუ-იორკი, ნიკარაგუის მთავრობამ წამოაყენა წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში დაიწყოს პონდურასთან, აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებთან დიალოგი უთანხმოებათა მოსაწესრიგებლად. ასეთი შეხვედრა შეიძლება გაიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ხ. პერეს დე კუელიარის დახმარებითა და მონაწილეობით.

ნიკარაგუის წარმომადგენელმა უშიშროების საბჭოში წერილი გაუგზავნა საბჭოს თავმჯდომარეს, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სანდინისტური მთავრობის უპირველესი ამოცანაა ქვეყანაში მშვიდობიანი ვითარების შექმნა, რომელიც ნიკარაგუელ ხალხს საშუალებას მისცემს თავისი ძალები მოახმაროს უფრო სამართლიანი საზოგადოების მშენებლობას. ნიკარაგუის მთავრობა კვლავ მოუწოდებს, რომ გამართონ დიალოგი ჰონდურასთან და შეერთებულ შტატებთან, ნათქვამია წერილში.

● იაპონია

კომპარტია მოითხოვს

ტოკიო. იაპონიის კომპარტიამ მთავრობას მოსთხოვა მიიღოს დეკლარაცია, რომელიც იაპონიას გამოაცხადებს ბირთვული იარაღისაგან თავისუფალ ქვეყნად.

იაპონელ კომუნისტთა სახელით ეს მოთხოვნა წამოაყენა იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ კ. მიამოტომ ქალაქ საპოროში გამართულ პრესკონფერენციაზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყნის ჩაბმა ამერიკის შეერთებული შტატების გლობალურ ანტისაბჭოთა სტრატეგიაში შეიცავს იმის რეალურ საფრთხეს, რომ მისი ტერიტორია გადაიქცევა ბრძოლის ველად.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 202-94-92; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

კაპიტალის სამჭარო

კონფლიქტი „სიტროენში“

თითქმის ერთი წელია, რაც ეს მწვავე სოციალური კონფლიქტი გრძელდება. შარშან ზაფხულს საფრანგეთის უდიდესი პროფკავშირული გაერთიანების — შრომის საყოველთაო კონფედერაციის — მონოდებით საავტომობილო ფირმის „სიტროენის“ ქარხნების მუშებმა დაიწყეს საგაფიცვო გამოსვლები. ისინი მოითხოვდნენ შრომის პირობების გაუმჯობესებას, ხელფასის მომატებას, რომელიც ყველაზე დაბალია ამ დარგში, აგრეთვე ეგრეთ წოდებული კერძო პოლიციის გაუქმებას, რომელიც მენარმეებს აქვთ შექმნილი მშრომელთა შანტაჟისა და დაშინებისათვის.

მას შემდეგ გაფიცვები ქარხნებში არ შეწყვეტილა.

სურათზე: „სიტროენის“ ქარხნების გაფიცულ მუშათა დემონსტრაცია პარიზში ფირმის დირექციის შენობის წინ.

საკლესიო ფოტო.

● საფრანგეთი

გაზეთ „მონდის“ ცნობა

პარიზი. **მას შემდეგ, რაც პრესამ გამოაცხადა, რომ ამერიკელები მათთვის გაწეული „სამსახურის“ სანაცვლოდ მალავდნენ ლიონში გესტაპოს ყოფილ წევრს კლაუს ბარბიეს, პარიზის გაზეთი „მონდი“ იუწყება:** „საფრანგეთის საიდუმლო სამსახურებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოიყენეს ყოფილი ნაცისტები, რომლებიც მსახურობდნენ „მესამე რაიხის“ საიდუმლო სამსახურებში. მათ ეძებდნენ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში, სადაც ისინი 1945 წლიდან იმყოფებოდნენ. როგორც „მონდი“ აღნიშნავს, საფრანგეთის სპეცსამსახურები მაშინ მიზნად ისახავდნენ ყოფილი ნაცისტების დახმარებით აღედგინათ კონტაქტები „საზღვარგარეთის წყაროების“ ქსელთან, რომელთაგანაც გერმანელები იღებდნენ ინფორმაციას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შესახებ“. საფრანგეთის საგარეო უშიშროების მთავარი სამმართველოს თანამშრომელთა მონაცემებით, ასეთი ნაცისტი რამდენიმე ათეული იყო.

საფრანგეთის აგენტების თქმით, აღნიშნავს შემდეგ „მონდი“, აგროვებდნენ ძირითადად ყოფილ ნაცისტ-ოფიცრებს, რომლებიც მუშაობდნენ აბვერში — არმიის დაზვერვაში — და მეექვსე, — იმპერიის უშიშროების მთავარი სამმართველოს ეგრეთ წოდებულ „საგარეო განყოფილებაში“, რომელსაც ეკისრებოდა, კერძოდ, ჯაშუშობისა და დივერსიების საკითხები აღმოსავლეთ ევროპაში.

ამ ორ შეტოქე სამსახურს, ხაზს უსვამს გაზეთი, აერთიანებდა ანტიკომუნიზმი; ამასთან იმპერიის უშიშროების თავარ სამმართველოს საზღვარგარეთ შექმნილი ფირმების, ხოლო აბვერს თავისი აგენტურის მეშვეობით მორჩილებაში ჰყავდათ რამდენიმე ასეული „ერთობ მნიშვნელოვანი“ ინფორმატორი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით ცენტრალურ ევროპასა და სსრ კავშირში.

„მონდი“ აღნიშნავს, რომ ყოფილ ნაცისტის დახმარებით საფრანგეთის დაზვერვა ცდილობდა შეენარჩუნებინა იმ აგენტების ქსელი, რომლებსაც გერმანიის საიდუმლო სამსახურები იყენებდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ომისწინა და ომის მიმდინარეობის პერიოდში, და რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ მხილებულნი.

● ტაილანდი

მორიგი ვოიაჟი

კუალა-ლუმპური. **ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის ხაქმეთა დარგში პ. ვულფოვიცი, რომელიც მოგზაურობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში.** ეს ვიზიტი დაემთხვა ტაილანდ-კამბუჩიის საზღვარზე დაძაბულობის გაძლიერებას, რაც გამოიწვია სახალხო კამპუჩიის წინააღმდეგ ემიგრანტ ქხმერთა რეაქციული დაჯგუფებების ძირგამომხრელი საქმიანობის გააქტიურებამ.

ამერიკელი ემისრის ახლანდელი ვოიაჟი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მოწმობს, რომ ვაშინგტონი არა მარტო ხელს უშლის, ერთი მხრივ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის წევრი ქვეყნების, და, მეორე მხრივ, ინდოჩინეთის სამი ქვეყნის ურთიერთობის ნორმალიზაციას, არამედ ყოველნაირად აღვივებს კონტრევოლუციური და გარეშე რეაქციული ძალების პროვოკაციულ მოქმედებას.

დამნაშავეობის სამყაროში

ისტორიაში უდიდესი ქარცვა

ლონდონი. ინგლისის დედაქალაქში მოხდა დიდი ბრიტანეთის ისტორიაში უდიდესი ძარცვა. როგორც გაზეთი „დეილი მირორი“ იუწყება, ექვსი შეიარაღებული ბორორტმქმედი შეიჭრა „სეკიურიტი ექსპრესის“ კომპანიის შენობაში და იარაღით აიძულა დაცვა გაეღო სეიფები. დანშაპავენი მიიმალნენ და თან წაიღეს 7 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

„დეილი მირორი“ იგონებს, რომ ამ შემთხვევამდე უდიდესი ძარცვა მოხდა 1963 წელს, როდესაც საფოსტო მატარებლიდან გაიტაცეს 2,6 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

ფემთხვევები

ავტოკატასტროფა მთაში

დელი. 14 კაცი დაიღუპა და 86 მძიმედ დაშავდა ავტოკატასტროფის შედეგად, რომელიც ინდოეთის ქალაქ მანჯერის (მაჰარაშტრის შტატი) მახლობლად მთაზე გამავალ გზაზე მოხდა. ბომბეიში მიმავალმა საერთაშორისო ავტობუსმა მკვეთრ მოსახვევში მართვა დაკარგა და 30 მეტრი სიმაღლიდან ხევში გადაეშვა.

სტიქია მძვინვარებს

გრიგალი, ხანძარი, ავარიები

სან-ფრანცისკო. გრიგალმა სამხრეთ კალიფორნიის მთელ რიგ რაიონებში შეწყვიტა სახელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობა, ელექტროენერგიის მიწოდება. საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, საათში 50 მილი სიჩქარის ქარი ძირფესვიანად გლეჯდა ხეებს, სახლების სახურავებს. მოკლე ჩართვამ მრავალრიცხოვანი ხანძარი გამოიწვია სან-ფერნანდოს ველზე და ლოს-ანჯელესის დასავლეთ ნაწილში. ქუჩებში შუქნიშნების დაზიანებამ საავტომობილო ავარიები გამოიწვია. 9 საათის განმავლობაში დარღვეული იყო ლოს-ანჯელესის საერთაშორისო აეროპორტის ენერგომომარაგება, არის მსხვერპლი.

ამას ყინავთ ქალაქ ნოგინსკის დრამატული თეატრის სცენაზე გაიმართა ქართველი დრამატურგის შოთა როყვას პიესის „დედის“ („მოუსვენარი დედაბერი“) პრემიერა. სპექტაკლს წარმატება ხვდა. იმ დღეს პიესის მთავარი გმირის სოფიო მენაბდის როლის შემსრულებელს, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტს ელენე ვასილიევას დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა. ეს სპექტაკლი მისი საბენეფისო წარმოდგენა იყო,

ნოგინსკის სცენაზე

რომელიც დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა ევგენია კემარსკაიამ.

მაყურებელი გულთბილად შეხვდა პიესის ავტორს, რომელმაც მსახიობი ქალის საბენეფისო საღამოზე სიტყვა წარმოთქვა.

(„კომუნისტის“ კორ.).

ნოგათი პატარებს

ახალციხე. (საკ. კორ.). კარგი საჩუქარი მიიღო ახალციხის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა — ქალაქის ცენტრში, მდინარე ფოცხოვის სანაპიროზე აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ორსართულიანი ბაგა-ბაღი, რომელიც გათვალისწინებულია ახალციხელ ფეიქართა 140 ბავშვისათვის.

ახალი საამქრო

ონი. (საკ. კორ.). კიდევ ერთი სიახლე შეემატა რაიონის მრეწველობას — სოფელ ნაკიეთში აშენდა და პირველი პროდუქცია გამოუშვა ქვის სახერხმა საამქრომ.

აქ დამზადებული სამშენებლო ფილები რაიონისა და რესპუბლიკის მრავალ ახალმშენებლობას გაეგზავნება.

სამართალდარღვევა: ვინ აგებს პასუხს?

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტების სამმართველოს უფროსი ა. ძოწენიძე

პასუხში ნათქვამია: 18 მარტს „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილზე „სამართალდარღვევა: ვინ აგებს პასუხს? გაცნობებთ, რომ სოჭამის „ბავშვთა სანატორიუმმა „ნაკადულმა“ ავტომანქანა „უაზ-452“ მიიღო 1983 წლის 25 იანვარს, მაგრამ მანქანის გაფორმება ვერ მოხერხდა. ამიტომ სანატორიუმის ადმინისტრაციას ავტომანქანის ექსპლოატაციის უფლება არ ჰქონდა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტების სამმართველოსათვის ავარიის მოხდენის ფაქტი ცნობილი გახდა სანატორიუმის მთავარი ექიმის ლ. მათიაშვილის სამუშაოდან განთავისუფლების შემდეგ.

სანატორიუმ „ნაკადულის“ საკითხი განხილა პარტიის ბაზურის რაიკომის ბიურომ და სამეურნეო ნაწილის გამგე ა. ქორდაძე, უკონტროლობისა და უნიმრო მანქანის საბურის გაცემისათვის გაათავისუფლა თანამდებობიდან.

კურორტების სამმართველო სანატორიუმებში დისციპლინის დარღვევის აღმოფხვრისა და საერთოდ მუშაობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად განახორციელებს სათანადო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, განიხილავს დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიაზე. გაზეთში გამოქვეყნებული კორესპონდენცია სანატორიუმის თანამშრომელთა საერთო კრების მსჯელობის საგანი გახდება. პასუხს მოვთხოვთ ყველას, ვისი დაუდეგრობითაც გაიცა უნიმრო მანქანის საბური. ცხადია, მართლმსაჯულება მთელი სიმკაცრით დასჯის მძღოლს, რომელმაც მომაკვდავი ადამიანი მიიტოვა გზაზე და ისიც კი არ ინება, საავადმყოფოში მიეყვანა და ყველაფერი ეღონა მის გადასარჩენად. საერთოდ კი მეტი კონტროლი დაუწესდება სანატორიუმის მუშაობას.

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ხობის საწარმოო საგზაო უბნის უფროსი ა. კუტალია

პასუხში აღნიშნულია: გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა ჩვენი უბნის მშენებელ ოსტატს ანზორ აკაკის ძე სანაიას, განიხილა უბნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ. ახალგაზრდებისათვის შეუფერებელი მოქმედებისათვის მკაცრად გაკიცხეს იგი. იმის გამო, რომ მისმა საქციელმა ჩირქი მოსცხო უბნის კოლექტივს, გაათავისუფლა საწარმოო საგზაო უბნის აგდილომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან და გამოუცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

სასამართლო დარბაზიდან

როცა წესრიგი უგულებელყოფილია

სახელმწიფო ავტომანქანა ღამით გარაჟში რომ უნდა იდგეს, ეს დიდი ხანია კანონად არის მიღებული, მისი შესრულება ყველა მძღოლს ევალება და სატრანსპორტო საწარმოთა ხელმძღვანელები უნდა აკონტროლებდნენ, მაგრამ, ცეკავშირის „საქკოოპმშენის“ ტრესტის წნორის მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში ეს უბრალო ჭეშმარიტება, როგორც ჩანს უგულებელყოფილია.

„საქკოოპმშენის“ წნორის მოძრავ-მექანიზებული კოლონის სპეციალურ ავტომანქანის ამწის მძღოლი ალექსი ლობაჩოვი მასზე გაპარული ავტომანქანას ღამით თავის სახლში, სიღნაღის რაიონის სოფელ ულიანოვკაში, აყენებდა. ერთ დილას იგი არყით გამოთვრა და ამწით წნორისკენ გასწია, სოფელ მაღაროსთან ავტომანქანამ გაჰკრა გზის მარჯვენა პირზე მიმავალ ოლია ილიას ასულ სინჯიაშვილს, რომელიც დაეცა, და გადაუარა უკანა მარჯვენა საბურავით. ო. სინჯიაშვილი საავადმყოფოში გარდაიცვალა...

მართალია, აწ გარდაცვლილმა ქვეითად მოსიარულემ დაარღვია გზებზე მოძრაობის წესები, მაგრამ თვრალმა მძღოლმა ა. ლობაჩოვმა ვერ გაითვალისწინა საგზაო და ატმოსფერული პირობები, რასაც ტრაგიკული შედეგი მოჰყვა.

სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა ალექსი ნიკოლოზის ძე ლობაჩოვის სისხლის სამართლის საქმე და მიუსაჯა ხუთი წლის თავისუფლების აღკვეთა, სამი წლის ვადით ჩამოართვა სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება.

იმაზე, თუ რატომ არის უწესრიგობა „საქკოოპმშენის“ წნორის მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში, პასუხს, ვფიქრობთ, ცეკავშირის გამგეობიდან მივიღებთ.

ბ. ეკალაძე.

ჭადრაკის დაფებთან

ესპანეთის ქალაქ ალიკანტეში გაიმართა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ზოლტან რობლისა (უნგრეთი) და ეუგენი ტორეს (ფილიპინები) მეოთხედფინალური მატჩის მეორე პარტია. ისევე როგორც წინა შეხვედრა, მეორეც სწრაფი ყაიმით (მე-19 სვლაზე) დამთავრდა. ჯერჯერობით ანგარიშია 1:1, ასეთივე მატჩის მეორე პარტია ნანა ალექსანდრიამ 26-ე სვლაზე მოუგო ტ. ლუმაჩკოს და ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

ავსტრიის ქალაქ ფელდენში გრძელდება მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ვასილ სმისლოვისა და რობერტ ჰიუბნერის (გერ) მეოთხედფინალური მატჩი. მათი მეშვიდე პარტია, რომელიც გადადებული იყო, მოჭადრაკეებმა მეორე დღეს 62-ე სვლაზე ყაიმით დაასრულეს. ახლა ანგარიშია 4:3 სმისლოვის სასარგებლოდ.

უკანასკნელ საათს

გუშინ ფელდენში მსოფლიო პირველობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა ნანა იოსელიანმა მეცხრე პარტია გამართა ჩინელ ლიუ შილანთან, გაიმარჯვა და მეოთხედფინალური მატჩი მოიგო ანგარიშით 6:3. ამრიგად, იოსელიანი ნახევარფინალში გავიდა.

მოსკოვში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის სამი ტურის შემდეგ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. გელერმა მოუგო ტალს, ფსახისმა — ლერნერს, იუსუპოვმა — მალანიუკს, ლერნერმა — ტალს, აგზამოვმა — მალანიუკს, რომანიშინმა — პეტროსიანს. პეტროსიანი დაუზავდა ფსახისს, ლერნერი — აზმაიფარაშვილს, კარპოვი — პოლუგაევსკის. სამი ტურის შემდეგ 2,5 ქულით ლიდერობს ფსახისი. მოდევნო ადგილებზე არიან ბელიავსკი და კარპოვი — 2-2 ქულა, აგზამოვი და ტუმკაკოვი — 1,5-1,5 (თითო გადადებული პარტია), გელერი და რომანიშინი — 1,5-1,5 (ორ-ორი პარტიიდან), ბალაშ